

ხარისხიანი ზოგადი განათლებისთვის

თვითშეფასების სახელმძღვანელო სკოლებისთვის

(საცდელი ვერსია)



სახელმძღვანელოს ავტორები:

ნინო ჩუბინიძე
მაკა კორძაძე
ნინო ბოკერია
ნინო ინაური
ნათია ამირიძე
გიორგი გახელაძე

წინასიტყვაობა

წიგნის ავტორებს სურთ დიდი მადლობა გადაუხადონ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს წიგნზე მუშაობის პროცესში გაწეული კონსულტაციებისა და რეკომენდაციებისთვის. მადლობას ვუხდით აგრეთვე საქართველოს ყველა რესურსცენტრს. მათთან ჩატარებულმა შეხვედრებმა და განხილვებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია სახელმძღვანელოს საბოლოო კონცეფციის შემუშავებაში.

მოცემული სახელმძღვანელო წარმოადგენს საცდელ ვერსიას. აკრედიტაციის საცდელი პროცესის დასრულების შემდეგ, მიღებული შედეგების, აგრეთვე სკოლებიდან მოწოდებული გამოხმაურებების საფუძველზე სახელმძღვანელოში შევა შესაბამისი ცვლილებები.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი მომავალშიც გეგმავს მოცემული სახელმძღვანელოს რეგულარულ განახლებას.

სარჩევი

შესავალი.....	3
<i>თავი I</i>	
სკოლების აკრედიტაციის პროცესი საქართველოში	4
<i>თავი II</i>	
სტანდარტები და ინდიკატორები.....	8
<i>თავი III</i>	
სკოლის თვითშეფასება	31
<i>თავი IV</i>	
თვითშეფასება, როგორც პროდუქტი	34
<i>თავი V</i>	
აკრედიტაციის ორგანიზება.....	40
<i>თავი VI</i>	
სკოლის მიერ აკრედიტაციის მოსაპოვებლად გადასადგმელი ნაბიჯები.....	47
დანართი 1. თვითშეფასების კითხვარები.....	50
დანართი 2. ანკეტები.....	78
ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა გაცნობაც აუცილებელია თვითშეფასების დაწერამდე.....	89
სარეკომენდაციო ლიტერატურა	90

შესავალი

მოცემული სახელმძღვანელო განკუთვნილია იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის/სკოლებისთვის, რომლებიც ემზადებიან აკრედიტაციის პროცესისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. სახელმძღვანელო დაეხმარება სკოლებს თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. მასში მოცემულია ის აუცილებელი რეკომენდაციები და განმარტებები, რაც დასჭირდება სკოლას თვითშეფასების განხორციელებისთვის. თვითშეფასების განხორციელება ეს არის პირველი ნაბიჯი, გადადგმული სკოლის მიერ აკრედიტაციის მოპოვების გზაზე.

სახელმძღვანელოში აგრეთვე ზოგადად განმარტებულია საქართველოში სკოლების აკრედიტაციის სისტემის მუშაობის სტრუქტურა და წესი. აგრეთვე ახსნილია ის ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადადგას სკოლამ აკრედიტაციის მოპოვებისთვის.

მოცემული სახელმძღვანელოს გაცნობა სავალდებულოა სკოლის მიერ თვითშეფასების ანგარიშის დაწერამდე.

თავი I სკოლების აკრედიტაციის პროცესი საქართველოში

საერთაშორისო საზოგადოებაში მიმდინარე გლობალური სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული თუ პოლიტიკური ცვლილებები საქართველოზეც ვრცელდება და ქვეყნის პერსპექტიული განვითარების ძირითად მიმართულებებზე აისახება. განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება ქართული სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული პრიორიტეტია, რაც გულისხმობს განათლების ყველა საფეხურის, მათ შორის ზოგადი განათლების ძირეულ რეფორმირებას.

ზოგადი განათლების რეფორმის პრინციპულად ახალ ეტაპს და ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მისაღწევად დასახულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სისტემის შექმნა, რაც სკოლების პროგრამული, ადმინისტრაციული, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტების დადგენასა და მართვის განვითარებას უკავშირდება;

ტერმინი აკრედიტაცია წარმოქმნილია ლათინური სიტყვიდან “კრედიტო“, რაც ნიშნავს „ნდობას“. ამრიგად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა აკრედიტაციის მეშვეობით უნდა დაადასტურონ მათ მიერ გაწეული საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხი და დაიმსახურონ საზოგადოების ნდობა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის წესს აწესრიგებს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ", და "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულება", სადაც აკრედიტაცია განმარტებულია, როგორც სისტემა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო აფასებს, თუ რამდენად შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესი ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებს.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტაციის განხორციელების მიზანია:

- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიან ნორმატიულ და საორგანიზაციო-მეთოდოლოგიურ საფუძველზე ჩატარებული აკრედიტაციის მეშვეობით მაღალხარისხიანი განათლების განვითარება საქართველოში;
- ❖ მშობლებს და მოსწავლეებს დაეხმაროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი ნდობის ამაღლებაში;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობით, განათლების ხარისხის ამაღლება;
- ❖ ქვეყანაში ზოგადი განათლების ხარისხით დაინტერესებულ მხარეებში სკოლებისადმი ნდობის ამაღლება;

აკრედიტაციის სისტემის დანერგვის შედეგად მოსალოდნელია:

- ❖ სასწავლო პროცესში მყარი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შემოღება, დაცვა და განვითარება;
 - ❖ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება და მისი შესაბამისობაში მოყვანა და ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან.
 - ❖ მოზარდთა მიერ მიღებული გამოცდილების ცხოვრებაში გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა;
 - ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უწყვეტი ზრდა;
 - ❖ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების სტანდარტების დაახლოება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციას ახორციელებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მეშვეობით.

დაინტერესებული მხარეები და მათი როლი აკრედიტაციის პროცესში

საქართველოს ერთიანი ზოგადსაგანმანათლებლო სივრცე მოიცავს ზოგად-საგანმანათლებლო საქმიანობის შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს: მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, ადმინისტრატორები, დირექცია და გარემომცველი საზოგადოება (სკოლამდელი დაწესებულებები, დამსაქმებლები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა.)

ვინაიდან აკრედიტაციის მამიებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე ვალდებულია დააკმაყოფილოს სათანადო ხარისხის სტანდარტი, ან გადააჭარბოს მას, ამ დაწესებულების პედაგოგიური შტატი,

დამხმარე პერსონალი და რესურსები უნდა იყოს ამ სტანდარტის შესაბამისი და ამასთანავე იმყოფებოდეს მუდმივი განვითარების პროცესში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა უდავოდ არსებითია, რადგან ძირეული რეფორმა და სისტემური ცვლილებები მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის შედეგად მიიღწევა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აკრედიტაციის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრს და ამ უკანსკნელის წარდგინებით ამტკიცებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულებას.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

საქართველოში ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციას ახორციელებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი. დაწესებულების შეფასებას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტთა ჯგუფი, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას განიხილავს შესაბამისი აკრედიტაციის საბჭო. ზოგადსაგანმანათლებლო აკრედიტაციის საბჭო შედგება 9 წევრისგან, რომელთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 3 წლით.

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი თავის საქმიანობას და უფლებამოსილებას ახორციელებს ცენტრის დირექტორისა და სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით. ცენტრი შედგება 4 სტრუქტურული ერთეულისაგან: ევროინტეგრაციისა და მობილობის სამმართველო, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის სამმართველო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის სამმართველო და ადმინისტრაცია.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

აკრედიტაციის გავლა სავალდებულოა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას.

საჯარო სკოლები აკრედიტებულად ითვლება 2011-2012 სასწავლო წლის დაწყებამდე. ამ დრომდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შემდგომი აკრედიტაციის დაწყება განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის საშუალებით.

ლიცენზირებული კერძო სკოლები აკრედიტებულად ითვლება 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებამდე მიმდინარე სასწავლო პროგრამის დასრულებამდე.

ახლად დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პირველი აკრედიტაცია ტარდება ამ დაწესებულების საქმიანობის დაწყებიდან:

- 3 წლის შემდეგ - თუ იგი ახორციელებს დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას;
- 2 წლის შემდეგ - თუ იგი ახორციელებს საბაზო ან/და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე.

აკრედიტაციის პროცესის მიზანი და მნიშვნელობა

- ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება
- სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა
- ზოგადი განათლების საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

აკრედიტაციის შინაარსი



სკოლის თვითშეფასება

სკოლის გარე შეფასება



აკრედიტაციის სტანდარტები

- მისია
- კულტურა
- სასწავლო გეგმა
- რესურსების მართვა

აკრედიტაციის თითოეული სტანდარტისთვის შემუშავებულია ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც მოწმდება სტანდარტის შესრულების დონე. ეს სტანდარტები და ინდიკატორები მოცემულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულებაში.

თავი II.

სტანდარტები და ინდიკატორები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ მიიღონ აკრედიტაცია, თუ ისინი შეძლებენ დაადასტურონ, რომ აკმაყოფილებენ აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ სკოლების აკრედიტაციის სტანდარტებს. სტანდარტი ეს არის იმ მინიმალური პირობების და მოთხოვნების ერთობლიობა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს სკოლა. სტანდარტები განკუთვნილია სხვადასხვა მასშტაბის, კონტინგენტის, გეოგრაფიული მდებარეობის როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლებისთვის. სტანდარტები არ გამორიცხავს სკოლის მიერ სასწავლო და აღმზრდელი პროცესში ისეთი სიახლეების დანერგვას, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას. თითოეული სტანდარტის შესრულების დადასტურება ხდება ინდიკატორების მეშვეობით. ინდიკატორი არის სტანდარტის შესრულების დონის მაჩვენებელი. ინდიკატორი თვალსაჩინოს ხდის რამდენად და როგორ შეიძლება სტანდარტით მოთხოვნილი კონკრეტული შედეგის მიღწევა. საბოლოოდ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი აფასებს სკოლას მთლიანობაში და გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

1. აკრედიტაციის მინიჭების
2. აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის
3. პირობითი აკრედიტაციის მინიჭების,
4. აკრედიტაციის გაუქმების

ამ ეტაპზე აკრედიტაციის სტანდარტების რაოდენობა 4-ს არ აღემატება.

ეს სტანდარტებია: 1. მისია

2. კულტურა

3. სასწავლო გეგმა

4. რესურსების მართვა

სკოლა, რომელიც აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს:

- ა) ნათლად ხედავს, აყალიბებს და აანალიზებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დანიშნულებას და ზოგადი განათლების მიზნებს;
- ბ) შეუძლია მოახდინოს არსებული რესურსების მობილიზება და მიმართვა ამ მიზნების მისაღწევად;
- გ) აღწევს დასახულ მიზნებს;
- დ) აქვს უნარი და შესაძლებლობა მომავალშიც განაგრძოს დასახული მიზნების შესრულება;

აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით სკოლას მოეთხოვება:

- სკოლის დანიშნულების ხედვა და პრინციპები იყოს გაზიარებული დაინტერესებული მხარეების მიერ;
- სკოლის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტები იყოს შესაბამისობაში, გარე სახელმძღვანელო დოკუმენტებთან;
- სკოლის შიგნით არსებობდეს პროცედურები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაზრდას;
- უზრუნველყოფილი იყოს სკოლის შიგნით - მოვალეობების გადანაწილება და თანამშრომლობა;
- სკოლის გარეთ- პარტნიორობა;
- ინფორმაციის ცირკულაცია სკოლის შიგნით, ინფორმაციის საჯაროობა და კონფიდენციალურობა, გამჭვირვალობა;
- უსაფრთხოება და კეთილმოწყობა;
- სკოლის რესურსების შესაბამისობა პროგრამებთან და მომსახურებასთან, მათი გამოყენების მიზანმიმართულება და ეფექტიანობა;
- დარღვევების და გადაცდომების პრევენცია;
- ფინანსური და მატერიალური შემოსავლების მოზიდვისთვის მკაფიო პოლიტიკის არსებობა;

ეფექტიანი სკოლის მაჩვენებლების მაგალითებია:

- მოსწავლეთა მიღწევები სწავლაში;
- მოსწავლეთა კარგი ქცევა სკოლის შიგნით და გარეთ;
- მოსწავლეთა მიერ სკოლაში ყოფნის სურვილი;
- მოსწავლეთა ჩართულობა;
- პედაგოგთა მოზიდვა-შენარჩუნება;
- მშობელთა კმაყოფილება სკოლის საქმიანობით და მიღწევებით;
- თანამშრომლობა და ჯანსაღი კონკურენცია სკოლის შიგნით;

სტანდარტი 1. მისია

1. სკოლას აქვს მისია, რომელიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, გამოხატავს სკოლის საერთო პრინციპებს სწავლა-სწავლების, აღზრდის და სკოლის დანიშნულების შესახებ. მისიას იზიარებენ სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ადმინისტრაციის თანამშრომლები.
2. სკოლის მისიაში ასახულია სკოლის პრიორიტეტები - ის საგანმანათლებლო მიზნები, სამოქალაქო და საზოგადოებრივი მოლოდინები, რომელთა მიღწევაზეც იღებს სკოლა ვალდებულებას.
3. სკოლა მუდმივად აფასებს სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტიანობას მის მიერ დადგენილი მისიის შესაბამისად. სკოლის საქმიანობა მიმართულია საკუთარი მისიის განსახორციელებლად.
4. მისია სკოლის საქმიანობის შეფასების საფუძველია. მისიის გადახედვა ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი პერიოდულობით და აუცილებლობის შემთხვევაში ხდება მისი განახლება.

სტანდარტის ინდიკატორებია:

- ა) მისია და მისიის დამტკიცების შესახებ დოკუმენტი;
- ბ) დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პროცედურა, თუ სკოლის რომელი ორგანოები მონაწილეობენ მისიის შემუშავებასა და გადახედვაში, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების წესი და საზოგადოებისათვის მისიის გაცნობის წესი, აგრეთვე დოკუმენტში აღნიშნულია მისიის გადახედვის პერიოდულობა;
- გ) დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება მისიის შემუშავებაში მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების მონაწილეობა;
- დ) დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მისიის გადახედვაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები;
- ე) სკოლის განვითარების 1-წლიანი გეგმა, რომელიც გამომდინარეობს მისიიდან;
- ვ) სკოლის განვითარების 6-წლიანი გეგმა, რომელიც გამომდინარეობს მისიიდან;
- ზ) ინტერვიუები რელევანტური წესით შერჩეულ მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან;
- თ) სკოლის შინაგანაწესი;
- ი) სასკოლო სასწავლო გეგმა, აგრეთვე მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფებისთვის შექმნილი ინდივიდუალური და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმები
- კ) სკოლის საქმიანობის შეფასების შიდა ანგარიში;
- ლ) განახლებული სამოქმედო გეგმა.

განმარტებები:

ვინაიდან ზსდ-ების (სკოლების) აკრედიტაცია მისიაზე დაფუძნებული აკრედიტაციაა, მისი სტანდარტების ამოსავალს პირველი სტანდარტი (მისია) წარმოადგენს.

აკრედიტაციისთვის მზადებისას, სკოლისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა საზოგადოებრივი მოლოდინებისა და საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება, სკოლის შესაძლებლობებისა და რესურსების რეალისტური შეფასება და ამის საფუძველზე საკუთარი მისიის ნათლად დასახვა.

თავის მხრივ, მისია აკრედიტაციის ყველა დანარჩენი სტანდარტის განსაზღვრისა და განხორციელების საფუძველია და გვიჩვენებს სკოლის ხედვას, მის პრინციპებს სწავლა/სწავლების, აღზრდისა და სკოლის დანიშნულების შესახებ. მისია უნდა ასახავდეს იმ საზოგადოებრივ მოლოდინებს, რომელთა მიღწევაზეც სკოლა იღებს ვალდებულებას. ამავე დროს, სკოლა, დასახული მისიის შესაბამისად, მუდმივად უნდა აფასებდეს სწავლისა და სწავლების ეფექტიანობას და საკუთარი საქმიანობა უნდა მიმართოს მისიის წარმატებით განხორციელებისაკენ. მისიაში ასახული პრიორიტეტები უნდა ჩანდეს ასევე შინაგანაწესში, სკოლის სტრატეგიულ გეგმაში და პარტნიორულ პროგრამებში.

მისიასთან უშუალო კავშირშია აკრედიტაციის დანარჩენი სამი სტანდარტი.

აკრედიტაციის მაძიებელ სკოლას უნდა გააჩნდეს მისია, რომელიც გამოხატავს სკოლის საერთო პრინციპებს სწავლის, სწავლებისა, აღზრდის და სკოლის დანიშნულების შესახებ. რას ნიშნავს ეს?

აღნიშნული გულისხმობს სასწავლო პრინციპებს სწავლა-სწავლების შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სკოლის მასწავლებლებს შორის და რაც წარმოადგენს სკოლის მასწავლებლების მიერ სწავლების პროცესში შეძენილი გამოცდილების საუკეთესო მაგალითებს. აღნიშნული პრინციპები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმასა და პედაგოგიურ ვალდებულებებში.

მაგალითები:

პრინციპები სწავლისა და სწავლების შესახებ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ცოდნის პრაქტიკული გამოყენება;
- მასწავლებლის როლი, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ მასწავლებელი არის მოსწავლეთათვის სწორი მიმართულების მიმცემი;
- განსხვავებული აზრის პატივისცემა;
- მასწავლებელთა თანამშრომლობისა და აზრთა გაზიარების ეთიკა;
- ცოდნის წარმატებით ტრანსფერი;
- მოსწავლეებისთვის ნათელი პრიორიტეტების დასახვა და იმის პრაქტიკული გაცნობიერება, თუ რამდენად ხდება სასწავლო მიზნების ასახვა სწავლის პროდუქტში;

- სწავლა და სწავლება, რომელიც მიმართულია სიღრმისეულ შემეცნებასა და ცოდნის ტრანსფერზე;
- მოსწავლეთა საჭიროებიდან დროული და ადექვატური გამოხმაურება/კომენტარები;
- მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარებისთვის ხელშემწყობი და უსაფრთხო გარემოს შექმნის აუცილებლობა (ზოგადად აღიარებული მოსაზრებებისა თუ ტრადიციების ანალიზის გზით);
- მოსწავლეთა სწავლის ნაყოფიერება იზრდება, როდესაც სწავლა ინდივიდუალიზებულია; სწავლა უმჯობესდება, როდესაც მოსწავლეებს ესმით თუ რატომ არის შინაარსი მნიშვნელოვანი;
- მიღებული ცოდნა აისახება მოსწავლის ქმედებაში;
- სიღრმისეული შემეცნებისა და შესატყვისი სასწავლო ამოცანების ნათლად განმარტების მნიშვნელობა;
- მოსწავლეებისთვის პირობების შექმნა, რომ შეძენილი შინაარსი გამოიყენონ ავთენტურ სიტუაციებში;
- მიღებული ცოდნისა და უნარების სათანადო გარემოში გამოყენება ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს ამა თუ იმ საგნის საფუძვლების შესწავლის მნიშვნელობა, რაც ზრდის მის მოტივაციას;
- განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას;
- მოსწავლეთა ქცევა (პერფორმანსი) ძირეულ გავლენას ახდენს სწავლების პროცესის წარმართვაზე;

მაგალითები სკოლის დანიშნულების შესახებ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- მოსწავლეთა წარმატებები, რომლისკენაც მიმართულია სკოლის ერთობლივი ძალისხმევა და რომლებიც, დროთა განმავლობაში, იძლევა გრძელვადიან ინტელექტუალურ შედეგს;
- ღირებული ჩვევების, შეხედულებებისა და ქცევის ხელშეწყობა, რომელიც სასწავლო საგნებს მიღმა ძევს, და საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამუიმუშავონ ისეთი ცოდნა, უნარებისა და აზროვნება, რომელიც დაეხმარება მათ როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე მომავალში წარმატებული კარიერის შექმნაში;
- გაგებისა და გადმოცემის უნარის განვითარება ყველა საგანში;
- მოსწავლეში აზროვნების ისეთი ჩვევების გამომუშავება, რომელიც ახასიათებს ჩამოყალიბებულ, ზრდასრულ პიროვნებას;

მისია გამოხატავს სკოლის საერთო პრინციპებს - რას ნიშნავს ეს?

- მისია ურთიერთგაზიარებულია, დამტკიცებულია და მას მხარს უჭერენ, როგორც მასწავლებლები, ასევე სამეურვეო საბჭო;

- რეგულარულად ხდება მისი გადახედვა სკოლისა და საზოგადოების/თემის წარმომადგენლების მიერ;
- მისია წარმართავს სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესს;
- მისია აისახება სკოლის კულტურაში;

აკრედიტაციის მაძიებელმა სკოლამ მისიაში უნდა ასახოს ის საგანმანათლებლო მიზნები და საზოგადოებრივი მოლოდინები, რომელთა მიღწევაზეც იღებს ვალდებულებას. რას ნიშნავს ეს?

საგანმანათლებლო მიზნები და საზოგადოებრივი მოლოდინები გულისხმობს იმ საბაზისო ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომელიც აუცილებელია და იმდენად მნიშვნელოვანი, რომ სკოლა საჯაროდ იღებს ვალდებულებას, რომ განავითაროს ეს უნარები ყველა მოსწავლეში.

მაგალითები:

ა) სწავლა-სწავლებისა და აზროვნების საბაზისო უნარ-ჩვევების მაგალითები:

- წერა-კითხვა, მეტყველება და წიგნიერება;
- ტექნოლოგიების გამოყენება;
- კრიტიკული აზროვნება;
- აზრის გადმოცემის უნარი;
- პრობლემის გადაჭრა;
- შემოქმედებითი აზროვნება;
- უწყვეტი განათლება;
- გარემოს დაცვა;
- მონაწილეობა ხელოვნებასა და კულტურაში, და სხვა.

ბ) საზოგადოებრივი მოლოდინების მაგალითები:

- სამოქალაქო განათლება;
- დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულება;
- სამოქალაქო პასუხისმგებლობა;
- სამოქალაქო აქტივობა;
- საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა;
- პატიოსნება, ტოლერანტობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობა, საიმედოობა, და სხვა.

პრინციპები სწავლისა და სწავლების შესახებ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- ცოდნის პრაქტიკული გამოყენება;

- მასწავლებლის როლი, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ მასწავლებელი არის მოსწავლეთათვის სწორი მიმართულების მიმცემი;
- განსხვავებული აზრის პატივისცემა;
- მასწავლებელთა თანამშრომლობისა და აზრთა გაზიარების ეთიკა;
- ცოდნის წარმატებით ტრანსფერი;
- მოსწავლეებისთვის ნათელი პრიორიტეტების დასახვა და იმის პრაქტიკული გაცნობიერება, თუ რამდენად ხდება სასწავლო მიზნების ასახვა სწავლის პროდუქტში;
- სწავლა და სწავლება, რომელიც მიმართულია სიღრმისეულ შემეცნებაზე;
- მოსწავლეთა საჭიროებებზე დროული და ადექვატური გამოხმაურება/კომენტარები;
- მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარებისთვის ხელშემწყობი და უსაფრთხო გარემოს შექმნის აუცილებლობა (ზოგადად აღიარებული მოსაზრებებისა თუ ტრადიციების ანალიზის გზით);
- მოსწავლეთა სწავლის ნაყოფიერება იზრდება, როდესაც სწავლა ინდივიდუალიზებულია; სწავლა უმჯობესდება, როდესაც მოსწავლეებს ესმით თუ რატომ არის შინაარსი მნიშვნელოვანი;
- მიღებული ცოდნა აისახება მოსწავლის ქმედებაში;
- სიღრმისეული შემეცნებისა და შესატყვისი სასწავლო ამოცანების ნათლად განმარტების მნიშვნელობა;
- მოსწავლეებისთვის პირობების შექმნა, რომ შეძენილი შინაარსი გამოიყენონ ავთენტურ სიტუაციებში;
- მიღებული ცოდნისა და უნარების სათანადო გარემოში გამოყენება ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს ამა თუ იმ საგნის საფუძვლების შესწავლის მნიშვნელობა, რაც ზრდის მის მოტივაციას;
- განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას;
- მოსწავლეთა ქცევა ძირეულ გავლენას ახდენს სწავლების პროცესის წარმართვაზე;

მაგალითები სკოლის დანიშნულების შესახებ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- მოსწავლეთა წარმატებები, რომლისკენაც მიმართულია სკოლის ერთობლივი ძალისხმევა და რომლებიც, დროთა განმავლობაში, იძლევა გრძელვადიან ინტელექტუალურ შედეგს;
- ღირებული ჩვევების, შეხედულებებისა და ქცევის ხელშეწყობა, რომელიც სასწავლო საგნებს მიღმა ძევს და საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოიმუშაონ ისეთი ცოდნა, უნარები და აზროვნება,

რომელიც დაეხმარება მათ როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში ასევე, მომავალში წარმატებული კარიერისა შექმნაში;

- გაგებისა და გადმოცემის უნარის განვითარება ყველა საგანში;
- მოსწავლეებში აზროვნების იმ ძირითადი ჩვევების გამომუშავება, რომელიც ახასიათებს ჩამოყალიბებულ, ზრდასრულ პიროვნებას.

სწავლა-სწავლებისა და აზროვნების საბაზისო უნარ-ჩვევების მაგალითები:

- წერა-კითხვა, მეტყველება და წიგნიერება;
- ტექნოლოგიების გამოყენება
- კრიტიკული აზროვნება;
- აზრის გადმოცემის უნარი;
- პრობლემის გადაჭრა;
- შემოქმედებითი აზროვნება;
- უწყვეტი განათლება;
- გარემოს დაცვა;
- მონაწილეობა ხელოვნებასა და კულტურაში, და სხვა.

საზოგადოებრივი მოლოდინების მაგალითები:

- სამოქალაქო განათლება;
- დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულება;
- სამოქალაქო პასუხისმგებლობა;
- სამოქალაქო აქტივობა.
- საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა;
- პატიოსნება, ტოლერანტობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობა, საიმედოობა, და სხვა.

სტანდარტი 2. კულტურა

1. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას, ასევე სკოლაში პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

2. სკოლაში არსებობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.

3. სკოლა თითოეული მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას მოსწავლის სწავლის შედეგების, ყოფაქცევისა და სკოლის საქმიანობის შესახებ, აძლევს მათ საშუალებას მონაწილეობა მიიღონ სკოლის საქმიანობაში.

სტანდარტის ინდიკატორებია:

- ა) სკოლის შინაგანაწესი, და სხვა დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია გადაწყვეტილების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურა.
- ბ) სკოლის სტრუქტურა, რომელიც გათვალისწინებულია სკოლის წესდებით;
- გ) მოსწავლეთა თვითმმართველობის, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარისა და სამეურვეო საბჭოს არჩევნების ოქმები;
- დ) სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საშტატო განრიგი;
- ე) დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მართვის ორგანოების, აგრეთვე დაინტერესებული პირების მონაწილეობას შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავებაში, აგრეთვე გადაწყვეტილებების მიღების წესს. სკოლას აქვს შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავებაში სკოლის მართვის ორგანოებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვ) სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
- ზ) საინფორმაციო დაფა ან/და ვებ-გვერდი ან/და გაზეთი;
- თ) გაკვეთილებზე, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებების ამსახველ აქტივობებზე მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვიანობის ამსახველი დოკუმენტები;
- ი) დისციპლინური კომიტეტის მუშაობის ამსახველი დოკუმენტები;
- კ) მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების პრევენციული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები;
- ლ) რელევანტური წესით შერჩეულ გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგები;
- მ) სკოლაში არსებული ატმოსფეროს შეფასების მიზნით სკოლის დათვალიერება: მოწმდება გათბობის საშუალებები, სველი წერტილები, სასადილო (არსებობის შემთხვევაში), წესრიგი და სისუფთავე სკოლის შენობის შიგნით და ეზოში;
- ნ) დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს და ადასტურებს წარჩინებული სწავლითა და ღირსეული ყოფაქცევით გამორჩეული მოსწავლეებისათვის არსებულ წახალისების მექანიზმებს;
- ო) მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენები დერეფნებსა და საკლასო ოთახებში;
- პ) მოსწავლეების ნამუშევრების პორტფოლიოები, სასკოლო გამოცემები, კედლის გაზეთები და სხვა;
- ჟ) სწავლაში პრობლემების მქონე მოსწავლეების დახმარების მექანიზმები და ამ მექანიზმის მუშაობის დამადასტურებელი ფაქტების ამსახველი

- დოკუმენტაცია, აგრეთვე სოციალურად დაუცველი მოსწავლეების დახმარების მექანიზმები და მისი მუშაობის ამსახველი მასალა;
- რ) სკოლის ტერიტორიაზე შესვლისა და გამოსვლის კონტროლის მექანიზმები და ამ მექანიზმების მუშაობის ამსახველი დოკუმენტი;
- ს) უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სკოლის შენობა არ არის ავარიული;
- ტ) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- უ) ევაკუაციის გეგმა, გამოკრული თვალსაჩინო ადგილას;
- ფ) ჯანსაღი ცხოვრების წესის უზრუნველყოფის ხელშემწყობი მექანიზმები და მათი მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ქ) ინკლუზიური სწავლების არსებობის შემთხვევაში, ადაპტირებული გარემო ინკლუზივის შესაბამისი კატეგორიის შეზღუდვის მქონე მოსწავლეთათვის,
- ღ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ყ) ხელშეკრულებით ან საშტატო განრიგით სათანადო კვალიფიკაციის მქონე სკოლის ფსიქოლოგი. მის მიერ ჩატარებული მუშაობის ამსახველი მასალა;
- შ) სკოლის მიერ თითოეული მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისთვის ინფორმაციის მიწოდების და ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მექანიზმები და მათი ამსახველი დოკუმენტები,
- ჩ) სადამრიგებლო პროგრამები და მათი განხორციელების ამსახველი მასალა;
- ძ) ღია კარის დღეების ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია;
- წ) საჩვენებელი ღონისძიებებისა და მათზე მშობელთა დასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ჭ) მშობლებისა და მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებული ყველა პროგრამისა და მომსახურების საჯაროობის უზრუნველყოფის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ხ) მშობელთა და მოსწავლეთა ერთობლივი კრებების და სხვა ღონისძიებების ამსახველი მასალა;
- ჯ) კათედრებზე და კათედრათაშორის შეხვედრების, მათი საერთო საქმიანობის დაგეგმვის მექანიზმები, რომლებიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში;
- ჰ) საგნობრივი კათედრების ერთობლივი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ჰ¹) მასწავლებელთა წახალისების მექანიზმებისა და მათი მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ჰ²) პედაგოგთა პროფესიული განვითარების რეგულარული ხელშეწყობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ჰ³) ინტერესების მიხედვით შექმნილი კლუბების, წრეების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ჰ⁴) მოსწავლეთა თვითმართველობის მექანიზმის მუშაობის დამადასტურებელი ფაქტების ამსახველი დოკუმენტაცია;

- 3⁵) სხვადასხვა სასკოლო და/ან სკოლისგარეთ ღონისძიებებში მოსწავლეების მონაწილეობის ამსახველი მასალა;
- 3⁶) მოსწავლეთა თვითშემოქმედების ნამუშევრების, მოსწავლეთა მონაწილეობით გამართული ღონისძიებების ამსახველი ფოტოსურათების გამოფენები დერეფნებსა და საკლასო ოთახებში;
- 3⁷) ინტერვიუები რელევანტური წესით შერჩეულ მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან;
- 3⁸) რელევანტური წესით შერჩეული მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ანკეტური გამოკითხვის შედეგები.

განმარტებები:

აკრედიტაციის მაძიებელ სკოლაში უნდა იყოს დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რას ნიშნავს ეს?

სკოლა უნდა ზრუნავდეს მოსწავლეების მასწავლებლების და სკოლის სხვა პერსონალისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. ამისათვის სკოლაში უნდა ხდებოდეს მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა, დისციპლინის კონტროლი, გარეშე პირთა სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლის რეგულირება. გარდა ამისა სკოლაში სისტემატურად უნდა ტარდებოდეს პრევენციული ღონისძიებები ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად. (ანტინიკოტინური, ანტიალკოჰოლური, ანტინარკოტიკული ღონისძიებები). სკოლაში აგრეთვე უნდა არსებობდეს სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრის და დისციპლინური გადაცდომების მოგვარების მექანიზმები და დასახული უნდა იყოს მომავალში ამ პრობლემების თავიდან აცილების გზები. ასევე სკოლაში უნდა არსებობდეს სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ექსტრემალურ სიტუაციებში მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. ინკლუზიური სწავლების არსებობის შემთხვევაში სკოლაში უნდა არსებობდეს ადაპტირებული გარემო უნარშეზღუდულ მოსწავლეთა სპეციფიკის გათვალისწინებით.

სკოლაში პატივისცემით უნდა ექცეოდნენ მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სკოლის დამხმარე პერსონალს. უნდა არსებობდეს სოციალური, ჯანმრთელობის, სწავლის და სხვა პრობლემების მქონე მოსწავლეების დახმარების და წარმატებული მოსწავლეების წახალისების მექანიზმები.

სასურველია სკოლაში იმართებოდეს მიზნობრივი ჯგუფების შეხვედრები, არსებობდეს კითხვარები, კვლევები ან სხვა საშუალებები, რომლებიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოყენებული იყო მოსწავლეებისა და პედაგოგებისაგან მონაცემებისა და გამოხმაურების მისაღებად და შემდეგ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებისას იქნა მხედველობაში მიღებული. (ეს შეიძლება იყოს მოსწავლეთა,

მასწავლებელთა, მშობელთა და თანამშრომელთა ინტერვიუება, ანკეტირება და ა.შ.)

მოკლედ აღწერეთ ბოლო დროს წამოჭრილი პრობლემების/საკითხების მაგალითები, რომელთა გადაჭრის პროცესშიც მონაწილეობდნენ მოსწავლეები და მასწავლებლები.

კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფეროს მაგალითებია:

- შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეული მოსწავლეები და მასწავლებლები სკოლისა და მისი აკადემიური ფასეულობების შესახებ საუბრობენ ერთუზიანობითა და სიამაყით;
- პედაგოგები და მოსწავლეები პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს, აშკარაა ურთიერთნდობის ატმოსფერო;
- სკოლა მუდმივ ყურადღებას აქცევს სკოლაში არსებულ ატმოსფეროს და იღებს ზომებს მის გასაუმჯობესებლად;
- მოსწავლეები კარგად იქცევიან არა მარტო სკოლაში, არამედ სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზეც;
- საკლასო ოთახის გარეთ (მაგ. სასადილოში, დერეფნებსა და სპორტულ დარბაზში) მოსწავლეების ქცევა გამოხატავს მათ პატივისცემას სკოლის მიმართ და პასუხისმგებლობას;
- სკოლის თემის ყველა წევრისადმი არსებობს თანასწორუფლებიანი დამოკიდებულება;

მოსწავლეებს და სკოლის პერსონალს უნდა ჰქონდეს თვითრეალიზაციის საშუალება და ამასთანავე უზრუნველყოფილი იყოს სკოლაში პასუხისმგებლობის გადანაწილება.

ეს ნიშნავს, რომ: სკოლაში არსებობს ინტერესების მიხედვით შექმნილი წრეები, რომლებშიც ხალისით დადიან მოსწავლეები. ისინი ასევე მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში: ოლიმპიადები, ტურნირები და ა.შ. სკოლაში ეწყობა მოსწავლეთა შემოქმედების, სახელობო სწავლების შემთხვევაში - სახელობო ნამუშევრების გამოფენა. სკოლა ზრუნავს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე. მოსწავლეები და სკოლის პერსონალი ამყობენ თავიანთი სკოლით და სკოლის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართულნი.

მოსწავლეებს და სკოლის პერსონალისთვის თვითრეალიზაციის საშუალებების მაგალითებია:

- სკოლაში არსებული წრეები ინტერესების მიხედვით, მოსწავლეთა ჩართულობა ოლიმპიადებში, კონკურსებსა და სხვა სასკოლო და სკოლისგარე ღონისძიებებში. სწავლაში ძლიერი მოსწავლეების

წახალისებისა და სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეების დამხარების მაგალითები და ა.შ.

- მასწავლებელთა მონაწილეობა პროფესიული გადამზადების პროგრამებში, სკოლის პერსონალის წახალისება/დაჯილდოება კარგი მუშაობისთვის და ა.შ.

სკოლაში პასუხისმგებლობის გადანაწილების მაგალითებია:

- მოსწავლეები და მასწავლებლები გაწევრიანებული არიან სასკოლო გაერთიანებებსა თუ სხვა სტრუქტურებში, რომელიც ხელს უწყობს დირექტორს გადაწყვეტილებების მიღებას სწავლებისა და სწავლის გასაუჯობესებლად;
- არსებობს ფორმალური მექანიზმები/პროცედურები, რომელიც განსაზღვრავს/განმარტავს მოსწავლეთა და პედაგოგთა, როგორც გადაწყვეტილების მიმღებთა, როლს;
- სხვადასხვა მეთოდით რეგულარულად ხდება მოსწავლეებისა და პედაგოგებისგან გამოხმაურებისა და მონაცემების შეკრება, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით;

აკრედიტაციის მაძიებელი სკოლის მასწავლებლებს შორის უნდა არსებობდეს ურთიერთთანამშრომლობა ეს ნიშნავს: კათედრათა შიგნით და კათედრათაშორის სისტემატურად ტარდება მასწავლებელთა შეხვედრები, ხდება მათ მიერ საერთო საქმიანობის დაგეგმვა. საგნობრივი კათედრები ერთობლივად მუშაობენ და იღებენ გადაწყვეტილებებს.

აკრედიტაციის მაძიებელი სკოლის მასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მაგალითებია:

- მასწავლებლებს შორის გარკვეულ საკითხებზე დისკუსიები და ანალიზი, როგორც ოფიციალურ (მაგ. კათედრებს შორის, საერთო საქმიანობის დაგეგმვისას, ჯუფური შეხვედრების თუ სასწავლო ჯგუფების მუშაობის დროს და ა.შ.) , ისე არაოფიციალურ (მაგ. შესვენების დროს, ა.შ) გარემოში;
- მასწავლებლები ხშირად საუბრობენ ერთმანეთში სწავლასთან დაკავშირებული მოლოდინების, სწავლების მეთოდების, მოსწავლეთა ნამუშევრების/საქმიანობის ხარისხის, შეფასებისა და სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ;
- დირექტორი და სკოლის ადმინისტრაცია, კათედრებთან ერთად, ხელს უწყობენ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას – წარმატებული საგანმანათლებლო პრაქტიკის შესახებ ლიტერატურის გაზიარებით, პროფესიული განვითარებისათვის რეგულარული

შესაძლებლობების უზრუნველყოფით, კათედრის შიგნით და კათედრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობითა და მასწავლებლების შეხვედრებისთვის დროის გამოყოფით და ა.შ.

- სკოლაში არსებობს მასწავლებელთა თანამშრომლობის ხელშეწყობი სხვა მექანიზმები;

აკრედიტაციის მაძიებელი სკოლა თითოეული მოსწავლის მშობლებს რეგულარულად უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მოსწავლის წარმატებებისა და სკოლის საქმიანობის შესახებ და აძლევდეს მათ საშუალებას მონაწილეობა მიიღონ სკოლის საქმიანობაში. რას ნიშნავს ეს? სკოლაში სისტემატურად ტარდება ღია კარის დღეები, საჩვენებელი ღონისძიებები, რომლებსაც ესწრებიან მშობლები. სკოლაში უზრუნველყოფილია მშობლებისთვის მათი შვილის მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ დროული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება. რეგულარულად ტარდება და მშობელთა კრებები და მშობელთა და მოსწავლეთა ერთობლივი კრებები. სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ყველა პროგრამის და მომსახურების საჯაროობას. ამისთვის სკოლაში არსებობს სტენდი, ბუკლეტი, ვებ-გვერდი, სკოლის გაზეთი და სხვა.

სკოლისა და მშობლების ურთიერთთანამშრომლობის მაგალითებია:

- სკოლა მიმართავს სხვადასხვა საშუალებას რომ მშობლები და ოჯახები ჩართოს ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში (მაგ. ღია კარის დღეები, შეხვედრები მშობლებთან, მასწავლებელთა კავშირი მოსწავლეების ოჯახებთან და სხვ.);
- მშობლებს რეგულარულად უკავშირდებიან და იწვევენ შეხვედრებზე მათი შვილების სწავლასთან დაკავშირებული საჭიროებების შესახებ;
- ჩამოყალიბებული მექანიზმების საშუალებით სკოლის მართვის სტრუქტურები ხელს უწყობენ მშობელთა მონაწილეობას სკოლის ცხოვრებაში;
- მშობლებს ფლობენ ინფორმაციას მათი შვილებისთვის ხელმისაწვდომი ყველა პროგრამისა და მომსახურების შესახებ;
- მოსწავლეები მონაწილეობენ მშობელთა/პედაგოგთა შეხვედრებში, რომელიც ეხება მათ სწავლასთან დაკავშირებულ საჭიროებებსა და აკადემიურ მოსწრებას;
- მშობლები მიწვეული არიან ყველა საჩვენებელ ღონისძიებაზე, რაც წარმოაჩენს მათი შვილების მიღწევებს;

სტანდარტი 3. სასწავლო გეგმა

1. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტული სკოლისთვის აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურებას, აგრეთვე სკოლაში მიმდინარე სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებს.
2. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ მასწავლებლები.
3. სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმითა და სკოლის მისიით გათვალისწინებული ცოდნა და უნარ-ჩვევები. სკოლის სასწავლო გეგმის შეფასება და გადახედვა ხორციელდება სისტემატურად.

სტანდარტის ინდიკატორებია:

- ა) სასკოლო სასწავლო გეგმა, აგრეთვე საგნობრივი სასწავლო გეგმები, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და რომლებსაც დართული აქვს სწავლების მეთოდები და ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმები. გეგმების თანდართულ აღწერაში ასახულია მისიიდან გამომდინარე, რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას ითვალისწინებს მოცემული საგანი;
- ბ) პედაგოგიური საბჭოს და საგნობრივი კათედრების შეკრებების სხდომის ოქმები;
- გ) დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეებთან დამატებითი მეცადინეობების ჩატარების მექანიზმები, როგორც ინდივიდუალური სწავლების, ასევე დამატებითი დახმარებისთვის განკუთვნილი სასწავლო ჯგუფების მუშაობის დამადასტურებელი მასალა;
- დ) ალტერნატიული პროგრამები იმ მოსწავლეთათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ უფრო მეტი მუშაობა ან დამატებითი სასწავლო დრო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ასათვისებლად;
- ე) ინკლუზიური სწავლების არსებობის შემთხვევაში სპეციალური პროგრამა, მოდიფიცირებული გეგმები და ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა საჭიროებებისა და მიდრეკილებების გავალისწინებით;
- ვ) არაქართულენოვან და მრავალენოვან სკოლებში სპეციალური პროგრამა, მოდიფიცირებული სასწავლო გეგმები და ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა მიერ ქართული ენის შესწავლის გაუმჯობესებისთვის;
- ზ) დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სასწავლო გეგმის შემუშავებისა და გადახედვის პროცედურა;

- თ) სკოლაში თვითშეფასების საფუძველზე სწავლა-სწავლების პროცესის გადახედვის აღწერის მაგალითები და ნიმუშები სასწავლო გეგმის მუდმივი გადახედვისა და განახლების მიზნით;
- ი) მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონაცემების გამოყენების მაგალითები სასწავლო გეგმის მუდმივად გადახედვის და განახლების მიზნით;
- კ) მოსწავლეებს, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების საფუძველზე, აქვთ აკადემიური შედეგების გაუმჯობესების საშუალება;
- ლ) მოსწავლეთა მიერ შესრულებული პროექტები;
- მ) სხვადასხვა საგნებში სწავლების გასაძლიერებლად სკოლაში არსებული კლუბების და/ან ღონისძიებების მუშაობის ამსახველი მასალა;
- ნ) მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი სპორტული გუნდებისა და სპორტული ღონისძიებების მუშაობის ამსახველი მასალა;
- ო) სასკოლო ან/და სკოლისგარეთ ჩატარებულ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობის ამსახველი მასალა;
- პ) კათედრის მიერ დაგეგმილი წლიური სასწავლო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ჟ) საგნობრივ კათედრებსა და კათედრებს შორის არსებული თანამშრომლობის ამსახველი მასალა.

განმარტებები: აკრედიტაციის მაძიებელ სკოლას უნდა ჰქონდეს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც წარმართება სასწავლო პროცესი. სკოლას ყველა საგანში აქვს შედგენილი სასწავლო გეგმა და თითოეულ ამ სასწავლო გეგმაში გაწერილია ცოდნა და უნარ-ჩვევები, რისი დაუფლებაც მოეთხოვებათ მოსწავლეებს. სასკოლო სასწავლო გეგმები ითვალისწინებს სასწავლო პროცესში გამოყენებულ ძირითადი აქტივობებს, რომელთა განხორციელებაც გამიზნულია მოსწავლეების მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განსამტკიცებლად, ასევე ითვალისწინებს, ამ საგნის ათვისების პროცესში შეძენილი ცოდნის და უნარ-ჩვევების შეფასებას.

მაგალითები:

- თითოეული საგნის/საგნობრივი ჯგუფის გაწერილი სასწავლო გეგმა კონკრეტულად განსაზღვრავს თუ რა უნარ-ჩვევებისა და ცოდნის დაუფლება ხდება.
- თითოეული საგნის/საგნობრივი ჯგუფის გაწერილი სასწავლო გეგმა განსაზღვრავს, თუ სკოლის მისიაში მოცემული რომელი უნარის დაუფლება ხდება.

- თითოეული საგნის/საგნობრივი ჯგუფის გაწერილი სასწავლო გეგმა კონკრეტულად განსაზღვრავს, თუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები შეფასდება.
- გაწერილი სასწავლო გეგმა მოიცავს მისიაში მოცემული იმ უნარ-ჩვევების შეფასებას, რომელთა განვითარებასაც ითვალისწინებს ესა თუ ის საგანი/საგნობრივი ჯგუფი.

აკრედიტაციის მაძიებელი სკოლის სასწავლო გეგმა უნდა გამომდინარეობდეს სკოლის მისიიდან, ეს ნიშნავს:

სკოლის მიერ ყველა საგანში შედგენილ სასწავლო გეგმაში გაწერილია ის უნარ-ჩვევები, რომელთა განვითარებასაც ითვალისწინებს მოცემული საგანი და რომელიც შეტანილია სკოლის მისიაში.

უნდა არსებობდეს მექანიზმები, რის მიხედვითაც მასწავლებლები ადგენენ თუ რამდენად საკმარის საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გაწერილი სასწავლო გეგმა, შეიძინონ და პრაქტიკაში გამოიყენონ ცოდნა და დაეუფლონ სკოლის მისიაში მოცემულ საბაზისო უნარ-ჩვევებს.

სკოლის შესაძლებლობები და სასწავლო გეგმები, საშუალებას უნდა იძლეოდეს იმისა, რომ უკლებლივ ყველა მოსწავლეს განუვითარდეს მისიაში მოცემული საბაზისო უნარ-ჩვევები.

მაგალითები:

- არსებობს ხელშემწყობი მექანიზმები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს შეიძინოს სკოლის მისიით გათვალისწინებული ცოდნა და უნარ-ჩვევები (მაგ. შექმნილია პირობები იმისთვის რომ მასწავლებლებმა დამატებით იმუშაონ ბავშვებთან; არსებობს ინდივიდუალური სწავლების პრაქტიკა; ფუნქციონირებს სასწავლო ჯგუფები, რომელიც განკუთვნილია როგორც საკლასო, ასევე კლასგარეშე დამატებითი დახმარებისთვის და ა.შ.)
- არსებობს ალტერნატიული პროგრამები, (სადაც ეს აუცილებელია), ან დრო იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ესაჭიროება უფრო მეტი მუშაობა ან დამატებითი დრო, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ასათვისებლად.
- მასწავლებლები ახორციელებენ სასწავლო პროცესისა და პროგრამების მოდიფიცირებას, მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით, რათა ყველა მოსწავლეს გამოუმუშავდეს: სწავლის გამოცდილება, პრაქტიკა, ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც განსაზღვრულია ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით.

მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, შეფასებისა და გადახედვის პროცესში. ეს ნიშნავს:

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონაცემები გამოიყენება სასწავლო გეგმის მუდმივი გადახედვისა და განახლების მიზნით. მაგალითად შეგიძლიათ აღწეროთ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის გადახედვის ციკლი.

მაგალითები:

- მასწავლებლები რეგულარულად ხვდებიან სკოლის აკადემიურ ლიდერებს საკუთარი სასწავლო გეგმისა და სწავლების პრაქტიკის ეფექტიანობის შეფასების მიზნით, თუ რამდენად აღწევენ ისინი კონკრეტული საგნის სასწავლო მიზნებსა და მისით განსაზღვრულ უნარ-ჩვევებს.
- ყველა მასწავლებელი ჩართულია საკუთარი სასწავლო პროცესის შემუშავებაში, შეფასებასა და გადახედვაში.
- ყველა მასწავლებელს გააჩნია თანამშრომლობის ფორმალური და არაფორმალური შესაძლებლობები, იმისათვის რომ მოხდეს სასწავლო გეგმის შემუშავება, შეფასება და გადახედვა.
- სკოლაში სისტემატურად იკრიბება შეფასების მონაცემები, რის საფუძველზეც ხდება სასწავლო გეგმის გადახედვა (მაგ. ნაშრომების ნიმუშები, საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების პროცესში დაგროვილი მოსწავლეთა შეფასება, გამოკითხვის შედეგები, მოსწავლეთა პორტფოლიოები, ა.შ.)
- დაგეგმილია სასწავლო გეგმის შემუშავების, შეფასებისა და გადახედვის ციკლი, რომელიც უზრუნველყოფს, მთლიანი სასწავლო გეგმის მინიმუმ ხუთ წელიწადში ერთხელ გადახედვას.

მოსწავლეებს რეგულარულად ეძლევათ უპირატესად სიღრმისეული შემეცნების, ვიდრე რაოდენობრივი ცოდნის დაგროვების შესაძლებლობა. ეს ნიშნავს:

სასწავლო გეგმა და სწავლების პროცესი უპირატესობას ანიჭებს ასათვისებელი მასალის სიღრმისეულ შემეცნებას პროექტებზე დაფუძნებული სწავლის მეთოდის, ძირეული კითხვების, შეფასების სხვადასხვა მეთოდების საშუალებით და ხელს უწყობს სიღრმისეული აზროვნების განვითარებას.

სასწავლო გეგმაში ყურადღება გამახვილებულია უპირატესად სიღრმისეულ შემეცნებაზე, ვიდრე რაოდენობრივი ცოდნის დაგროვებაზე.

სკოლაში ყველა საგანის/საგნობრივი ჯგუფის შიგნით და მათ შორის არსებობს სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული, ეფექტიანი კოორდინაცია.

მაგალითები:

- სკოლაში მიმართავენ პროექტებზე დაფუძნებულ სწავლების მეთოდს, რომელიც გულისხმობს მოსწავლის მიერ გარკვეული თემების კვლევას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს წინასწარ მომზადებას, სიღრმისეულ შემეცნებას და შემეცნების უფრო ფართო არეალის მოცვას.
- საგანი/საგნობრივი ჯგუფი იძლევა სიღრმისეული კვლევისა და შემუშავებული კონცეფციების რეალურ სიტუაციაში გამოყენების შესაძლებლობას.
- შეფასება მოსწავლეებს აძლევს სიღრმისეული აზროვნების და არა დაზეპირებული პასუხების დემონსტრირების შესაძლებლობას (მაგ. მოსწავლეს მოეთხოვება ინფორმაციის, უნარ-ჩვევების, იდეებისა და შეძენილი ცოდნის გამოყენება ახალ სიტუაციებში).
- მოსწავლეების სწავლასთან დაკავშირებული მოლოდინები თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საკლასო ოთახებში, რომ მოსწავლეებს დაანახონ კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობა და ხაზი გაესვას სწავლის იმ დონეს, რასაც მათგან მოელიან; აღნიშნულ მოლოდინზე მუდმივად ყურადღებას ამახვილებს ყველა საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი.

სკოლაში არსებობს დამატებითი აქტივობები, რომელიც ავსებს კურიკულუმს და წაახალისებს მოსწავლეებს მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ ღონისძიებებში.

სკოლაში ტარდება დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც ავსებენ სასწავლო გეგმას და წაახალისებელია მოსწავლეთა აქტივობა ჩაერთონ აღნიშნულ ღონისძიებებში.

კლასგარეშე ღონისძიებების სპექტრი პასუხობს მოსწავლეთა განსხვავებულ მოთხოვნილებასა და ინტერესებს.

მაგალითები:

- სკოლაში არსებობს სხვადასხვა კლუბები და ღონისძიებები, სკოლის მიერ კურიკულუმის სხვადასხვა სფეროების გასაძლიერებლად (მაგ. მათემატიკის წრე, ენების წრე, სკოლის მუსიკალური ჯგუფების წარმოდგენები, სათემო პროგრამები/პროექტები, სამეცნიერო ოლიმპიადები, ა.შ).
- სკოლაში არსებობს სპორტული გუნდები და სპორტული ღონისძიებები, რომლებიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის.
- არსებობს მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომი სახელობო პროგრამები.

- სკოლაში არსებობს ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი სათემო პროგრამები/პროექტები და სხვა სახის მომსახურების სწავლის შესაძლებლობები

სკოლაში ყველა აკადემიურ სფეროში და სფეროებს შორის არსებობს კურიკულუმთან დაკავშირებული ეფექტიანი კოორდინაცია.

სკოლაში არსებობს სტრუქტურები და შესაძლებლობები, რაც საშუალებას აძლევს მეთოდისტებსა და მასწავლებლებს გამართონ რეგულარული შეხვედრები კურიკულუმის კოორდინირებისათვის.

სკოლის ფარგლებში, საგნობრივ კათედრებზე და მათ შორის ხდება კურიკულუმის ეფექტიანობის შეფასება.

სკოლაში მაქსიმალურად იყენებენ ბიბლიოთეკის/კომპიუტერული ცენტრის რესურსებს, ხდება პროგრამებისა და მომსახურების ეფექტიანი კოორდინირება და სასწავლო გეგმის განხორციელების მიზნით გამოყენება.

მაგალითები:

- სასწავლო გეგმა შეესაბამება დისციპლინების შიგნით და მათ შორის არსებულ კავშირებს;
- რეგულარულად იმართება შეხვედრები მეთოდისტებსა და სკოლის პედაგოგებს შორის, რათა მუდმივად უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა სასწავლო მოლოდინების გათვალისწინება (მოლოდინებზე რეაგირება) სკოლის მასშტაბით (მაგ. მოსწავლეთა ნაწერები განიხილება რათა განისაზღვროს, ხდება თუ არა ყველა საგნის ფარგლებში მაგალითად წერის უნარის განვითარება);
- ბიბლიოთეკის/კომპიუტერული ცენტრის რესურსები, პროგრამები და მომსახურება განპირობებულია სასწავლო გეგმით და ხელს უწყობს მის განხორციელებას;

სტანდარტი 4. რესურსების მართვა

1. სკოლას აქვს მისიითა და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები.
2. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ რესურსებს იყენებს მიზანმიმართულად, სწავლა-სწავლების ხარისხის

შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის, სკოლის მისიით დადგენილი მიზნების მისაღწევად.

3. სკოლა მუდმივად ცდილობს, ეფექტიანად გამოიყენოს და გააუმჯობესოს არსებული რესურსები.

1. ადამიანური რესურსების ნაწილში სტანდარტის ინდიკატორებია:

- ა) სკოლაში არსებულ მოსწავლეთა რეესტრი და მათი პირადი საქმეები.
- ბ) შინაგანაწესით დადგენილი მოსწავლეთა სკოლაში მიღების და სკოლიდან გარიცხვის წესი;
- გ) მოსწავლეთა სკოლაში მიღების და სკოლიდან გარიცხვის ამსახველი დოკუმენტაცია;
- დ) თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების პრინციპები და კრიტერიუმების ამსახველი დოკუმენტები.
- ე) შრომითი ხელშეკრულებები მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, ტექნიკურ პერსონალთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან;
- ვ) სკოლის მასწავლებელთა სია და მათი პირადი საქმეები;
- ზ) საშტატო განრიგი;
- თ) ადამიანური რესურსების წახალისებისა და სანქციების მოწესრიგებული და გამჭვირვალე სისტემა, რომელიც ასახულია შინაგანაწესში;
- ი) წახალისებებისა და სანქციების განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია;

2. მატერიალური რესურსების ნაწილში სტანდარტის ინდიკატორებია:

- ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმატივის შესაბამისი სკოლის ინვენტარი, აგრეთვე ინვენტარიზაციის აქტი;
- ბ) აუდიტის დასკვნა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ, მატერიალური ფასეულობების მიღება-ჩაბარების აქტები;
- გ) სკოლის მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ;
- დ) სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- ე) საფინანსო-ბუღალტრული აღრიცხვიანობის წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვ) სკოლის ყოველწლიური ფინანსური ანგარიში, რომელშიც სკოლას განსაზღვრული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პრიორიტეტები;
- ზ) წლიური ანგარიშების სამეურვეო საბჭოზე წარდგენის დამადასტურებელი სხდომების ოქმები;
- თ) სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ფინანსური და/ან მატერიალური შემოსავლების მოზიდვის მხრივ მკაფიო პოლიტიკის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- ი) სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი პროგრამების შესაბამისი სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის და პერიოდიკის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები და მასალა;
- კ) სკოლის ბალანსზე არსებული წიგნადი ფონდი
- ლ) ბიბლიოთეკის კატალოგი;
- მ) სკოლის მოსწავლეების და მასწავლებლების მიერ სასწავლო-სააღმზრდელო მიზნებისთვის სკოლის ბიბლიოთეკის სისტემატურად გამოყენების დამადასტურებელი მასალა;
- ნ) ბიბლიოთეკით მომსახურების გრაფიკი, აგრეთვე მოსწავლეთა და თანამშრომელთა ბარათები;
- ო) მასწავლებლების მიერ შემუშავებული და გამოყენებული სასწავლო გეგმები, რომლებშიც ჩანს ბიბლიოთეკის და კომპიუტერების გამოყენების სიხშირე;
- პ) სკოლის მიერ ბიბლიოთეკის გამოყენების გასაუმჯობესებელი ღონისძიებების ამსახველი მასალა;
- ჟ) სკოლის მიერ საინფორმაციო რესურსების პერიოდულად განახლების დამადასტურებელი დოკუმენტები და მასალა, აგრეთვე ბოლო 5 წელიწადში შეძენილი პერიოდიკის ნუსხა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სასკოლო სასწავლო გეგმას;
- რ) ჟურნალ-გაზეთებთან, გამომცემლობებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ს) სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი კომპიუტერები;
- ტ) ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები და ხელშეკრულება ინტერნეტ-პროვაიდერთან, აგრეთვე დამადასტურებელი დოკუმენტები და მასალა, რომ კომპიუტერული რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისთვის და სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები სკოლის კომპიუტერებს სისტემატურად იყენებენ სასწავლო-სააღმზრდელო მიზნებისთვის;
- უ) ინტერვიუები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან;
- ფ) მოსწავლეების და მასწავლებლების კომპიუტერებით სარგებლობის გრაფიკი;
- ქ) დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ სკოლის რესურსების განახლება შეესაბამება სკოლის მიერ მისიაში ასახულ პრიორიტეტებს (სკოლის განვითარების გეგმა, სკოლის წლიური ანგარიში, მიღება-ჩაბარების აქტები).

განმარტებები:

აკრედიტაციის მაძიებელ სკოლას უნდა ჰქონდეს მისიითა და სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები - ეს ნიშნავს, რომ თუ სკოლის მისიაში აღნიშნულია, რომ სკოლის მოსწავლეები დაეუფლებიან ამა თუ იმ ცოდნას ან უნარ-ჩვევას, სკოლამ თავისი რესურსით უნდა დაადასტუროს,

რომ აქვს უნარი სწორედ ამ ცოდნის და უნარ ჩვევების განვითარებისა მოსწავლეებში:

მაგალითები:

- სკოლის მისიაში აღნიშნულია, რომ სკოლის კურსდამთავრებულები კარგად ფლობენ ერთ ან რამდენიმე უცხო ენას და სკოლაში საკმარისი რაოდენობით არის შესაბამისი ენების მცოდნე, კვალიფიციური მასწავლებლები, ასევე ენის სწავლისთვის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი საკლასო ოთახები.
- სკოლის მისიაში აღნიშნულია, რომ იგი ხელს უწყობს მოსწავლეების ფიზიკურ მომზადებას და სკოლაში არის კარგად აღჭურვილი სპორტდარბაზი ან სტადიონი, ასევე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები და აღმზრდელები.
- სკოლის მისიის სამოქალაქო მოლოდინებში აღნიშნულია, რომ სკოლა განსაკუთრებით ავითარებს მოსწავლეებში დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულებას და სამოქალაქო აქტივობას, ტოლერანტობას. ამის დასტურია, რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა ჰუმანიტარულ აქციებში, სკოლაში არის პარტნიორული პროგრამები უნარშეზღუდული ბავშვებისთვის განკუთვნილ სააღმზრდელო დაწესებულებებთან და ა.შ.

აკრედიტაციის მაძიებელი სკოლა ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ რესურსებს უნდა იყენებდეს მიზანმიმართულად, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სკოლის მისიის მისაღწევად -ეს ნიშნავს, რომ სკოლის რესურსი მაქსიმალურად ხმარდება სწავლისა და სწავლების პროცესს და ამ გზით მისიაში დასახული მიზნების მიღწევას. ეს ხდება როგორც სასკოლო ცხრილით გათვალისწინებული სასწავლო საათების განმავლობაში და სასკოლო ღონისძიებების დროს, ასევე დამატებითი სასწავლო საათებისა და სკოლისგარეშე ღონისძიებების დროსაც.

მაგალითები:

- სკოლის ბალანსზე არსებული კომპიუტერები გამოიყენება არ მხოლოდ ინფორმატიკის გაკვეთილებზე. მოსწავლეებს სხვა საგნების სწავლის პროცესშიც აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სასკოლო კომპიუტერებით, რათა, მაგალითად, ინტერნეტით მოიპოვონ ამა თუ იმ საგნის უკეთ ათვისებისთვის დამატებითი ინფორმაცია. კომპიუტერები მუდამ მწყობრშია, ანუ მათ მუშაობაში რაიმე გაუმართაობის შემთხვევაში არსებობს შესაბამისი პერსონალი, რომელიც გამოასწორებს ამ გაუმართაობას.
- სკოლის სპორტულ მოედანზე ტარდება არამარტო ფიზიკულტურის გაკვეთილები, არამედ დამატებით, სკოლაში არსებული სპორტული კლუბის ვარჯიშები. შეიძლება იმართებოდეს ტურნირები

კალათბურთში, ფეხბურთში, ან სხვა სპორტული ღონისძიებები, რომელშიც ერთმანეთს გაეჯიბრებიან ამ სკოლისა და სხვა სკოლების წარმომადგენლები.

აკრედიტაციის მაძიებელი სკოლა უნდა ცდილობდეს ეფექტიანად გამოიყენოს და გააუმჯობესოს არსებული რესურსები - ეს ნიშნავს, რომ სკოლა ცდილობს განაახლოს და გაზარდოს სკოლის რესურსები სკოლის მიერ მისიაში ასახული პრიორიტეტების შესაბამისად.

მაგალითები:

- სკოლა მონაწილეობს სხვადასხვა საგრანტო პროგრამებში,
- სკოლას აქვს სახელობო პროგრამა, რომელშიც დასაქმებული მოსწავლეების შრომის შედეგების რეალიზაციისას მიღებული შემოსავალი ხმარდება ისევე სკოლას.
- სკოლის მისიით გათვალისწინებულია მოსწავლეებში ამა თუ იმ ხელოვნების დარგის სწავლება და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება. სკოლა ზრუნავს შესაბამისი საგნის მასწავლებელთა მოსაზიდად, ან გადასამზადებლად, ამასთანავე თანდათან აუმჯობესებს ამ დარგის სწავლებისთვის სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზას და ა.შ.

თავი III
სკოლის თვითშეფასება

თვითშეფასების მიზნები

აკრედიტაციის პროცესში სკოლის თვითშეფასებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. კარგად მომზადებული თვითშეფასება, საფუძვლიანი თვითანალიზის გზით, უზრუნველყოფს სკოლის სწავლა-სწავლების ხარისხის და გაუმჯობესებას და სააღმზრდელო პროცესის სრულყოფას. გარდა ამისა, თვითშეფასება წარმოადგენს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ, აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, სკოლის შეფასების საფუძველს.

თვითშეფასება არ არის მხოლოდ დოკუმენტი, რომელიც სიღრმისეულად იკვლევს აკრედიტაციის სხვადასხვა სტანდარტს. ეს არის თვითშემოწმების პროცესში ჩართული სკოლის პერსონალის ერთობლივი ძალისხმევა, რომელიც სკოლის განვითარებას ისახავს მიზნად.

სკოლამ არ უნდა განიხილოს თვითშეფასება, როგორც განკერძოებული მოვლენა, რომელიც გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება. თვითშეფასება უნდა იყოს სკოლის მუშაობის დაგეგმვისა და შეფასების მიმდინარე პროცესის განუყოფელი ნაწილი. თვითშეფასების პროცესში უნდა მოხდეს გარე ფაქტორების გათვალისწინება და იმ სიტუაციის ანალიზი, რომელშიც სკოლა ფუნქციონირებს.

თვითშეფასების ანგარიშში მკაფიოდ და ზუსტად უნდა აისახოს სკოლაში როგორც შეფასების მომენტში არსებული ვითარება, ასევე მომავლის ხედვაც. ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია არა მარტო განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისთვის, არამედ პირველ რიგში ხელს უწყობს თავად სკოლის განვითარებას.

თვითშეფასების აუცილებლობა

სკოლის მიერ რეგულარული თვითშეფასების განხორციელება აუცილებელია, რადგან ამ დროს ხდება:

- გარკვევა, აღწევს თუ არა სკოლა დასახულ მიზნებს
- გარკვევა, თუ რამდენად მიაღწია სკოლამ სასურველ შედეგებს
- გაცნობიერება, თუ რა შედეგები მოიტანა ამა თუ იმ აქტივობამ
- წარმოჩენა, გაამართლა თუ არა დასახულმა სტრატეგიამ
- დაშვებული შეცდომების და ხარვეზების წარმოჩენა
- გამოცდილების გაზიარება
- სამომავლო გეგმების დასახვა
- რესურსების სწორი განკარგვა

რას მოელის განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი თვითშეფასებისგან?

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ითვალისწინებს თითოეული სკოლის ინდივიდუალურ სპეციფიკას, თუმცა ამავედროულად განსაზღვრავს პრინციპებს, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს თვითშეფასება.

საბოლოო ჯამში, თვითშეფასების ანგარიში გვიჩვენებს, თუ რამდენად შეესაბამება სკოლა აკრედიტაციის სტანდარტებს.

თვითშეფასების პროცესი

თვითშეფასების პროცესი მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. თვითშეფასების პროცესის დროს ხდება სკოლის ინტელექტუალური რესურსების მობილიზება. სკოლა ვალდებულია იღებს გადაწყრას გამოვლენილი პრობლემები სათანადო მეთოდებით და აითვისოს

არსებული შესაძლებლობები. ცხადია, რომ თვითშეფასების პროცესის და მისი საბოლოო შედეგის წარმატება ურთიერთგადაჯაჭვულია.

რა დრო სჭირდება თვითშეფასების განხორციელებას? ზედმეტად დაჩქარებულ რეჟიმში თვითშეფასება სათანადოდ ვერ შესრულდება. თვითშეფასების მოსამზადებლად სულ ცოტა 3 თვეა საჭირო.

როგორ ხდება თვითშეფასების პროცესის ორგანიზება? თვითშეფასების პროცესის ორგანიზებისა და განხორციელების ერთადერთი და საუკეთესო გზა არ არსებობს. ყოველი ცალკეული სკოლისთვის ამ პროცესის განხორციელების გზები და მეთოდები ინდივიდუალურია და სკოლის მუშაობის სპეციფიკას უნდა შეესაბამებოდეს.

რა უნდა მოიმოქმედოს სკოლამ?

სკოლამ უნდა შექმნას საორგანიზაციო კომიტეტი და მისი წევრები უზრუნველყოს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ყველა აუცილებელი მასალით. კომიტეტს სათავეში უნდა ჩაუდგეს აქტიური და დაინტერესებული პიროვნება, რომელიც დაგეგმავს და მეთვალყურეობას გაუწევს მუშაობას და პასუხისმგებლობას აიღებს საბოლოო ანგარიშის რედაქტირებაზე.

- კომიტეტის თავმჯდომარე და სკოლის დირექტორი თვითშეფასების პროცესში მონაწილე ორი მთავარი ფიგურაა. თავმჯდომარეს სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრია. მისი საქმიანობა დიდ დროსა და მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. ამავდროულად, ეს მეტად სასარგებლო და ღირებული მისიაა.
- სკოლის დირექტორის მოვალეობაა უზრუნველყოს ხელსაყრელი პირობები თვითშეფასების განხორციელებისთვის.
- დირექტორმა უნდა წახალისოს თვითშეფასების პროცესში სკოლის კოლექტივის ფართო მონაწილეობა. თვითშეფასება კომპლექსური პროცესია, რომელშიც ჩართულნი არიან როგორც მასწავლებლები და ადმინისტრაცია, ასევე სამეურვეო საბჭო, მოსწავლეები, მშობლები და ა.შ.

რა უნდა მოიმოქმედოს საორგანიზაციო კომიტეტმა:

- საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა შექმნას სამუშაო ჯგუფი/ჯგუფები თითოეულ სტანდარტზე სამუშაოდ.

- განსაზღვროს თვითშეფასების განხორციელების ხელსაყრელი მექანიზმები. (არ არის სავალდებულო, რომ ყველა სამუშაო ჯგუფმა ერთდროულად დაიწყოს მუშაობა. მაგალითად, “მისია”-ზე მომუშავე ჯგუფს შესაძლოა მუშაობის უფრო ადრე დაწყება მოუწიოს, რათა მათი მუშაობის შედეგებზე სხვა ჯგუფებმა აიღონ ორიენტაცია).
- უზრუნველყოს სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებს შორის ეფექტური კოორდინაცია.
- უზრუნველყოს, რომ თვითშეფასების პროცესმა აუცილებლად მოიცვას სკოლაში არსებული სწავლების ყველა საფეხური და ყველა საგანმანათლებლო პროგრამა.
- შეადგინოს მუშაობის კონკრეტული გრაფიკი. (სასურველია მუშაობა გრაფიკის მიხედვით, რათა თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო ვარიანტი მზად იყოს განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარდგენამდე სულ მცირე 2 კვირით ადრე).

რა უნდა მოიმოქმედოს სამუშაო ჯგუფმა/ჯგუფებმა?

- უნდა გაეცნონ აკრედიტაციის სტანდარტებსა და განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მითითებებს.
- შეაგროვონ საჭირო ინფორმაცია, მტკიცებულებები და აუცილებელი მონაცემები. თვითშეფასების პროცესში სკოლამ უნდა გამოიყენოს როგორც არსებული ინფორმაცია და მონაცემები, ისევე, საჭიროების შემთხვევაში, მოიძიოს და შეკრიბოს დამატებითი ინფორმაცია. ეს ინფორმაცია, მტკიცებულებები და მონაცემები აუცილებელია როგორც თვითშეფასების ანგარიშის დასაწერად, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისთვის წარსადგენ დასაბუთებად.

თავი IV

თვითშეფასება, როგორც პროდუქტი

როგორი უნდა იყოს კარგი თვითშეფასების ანგარიში?

უნაკლო თვითშეფასების ანგარიში არ არსებობს და ეს ცნობილია შემფასებლისათვის. თუმცა, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია.

თვითშეფასების ანგარიში:

- უნდა ასახავდეს სკოლის მუშაობის თვალნათელ სურათს;
- უნდა უჩვენებდეს რა ზომები იქნა მიღებული და რა სამომავლო ღონისძიებებია დაგეგმილი სკოლის მიერ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების და ხარვეზების გამოსწორების მიზნით;
- სკოლას უნდა შეეძლოს თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის დამამტკიცებელი დოკუმენტების და წყაროების წარმოდგენა;

საბოლოოდ, საორგანიზაციო კომიტეტის და მუშა ჯგუფების ნამუშევარი, მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩათვლით, შეჯამდება შემდეგ თავში მოცემული ფორმატის მიხედვით.

თვითშეფასების ფორმატი

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი სთხოვს სკოლას თვითშეფასების ანგარიში დაწეროს ქვემოთ მოცემული ფორმატის მიხედვით. ეს მარტივი და მოსახერხებელი ფორმატი მკაფიო წარმოდგენას უქმნის მკითხველს სკოლაში კონკრეტული მომენტისთვის არსებული ვითარების შესახებ.

თვითშეფასება შედგება 3 ნაწილისგან:

1. წინასიტყვაობა
2. სკოლის დახასიათება
3. თვითშეფასების კითხვარი

1. წინასიტყვაობა

წინასიტყვაობა მოიცავს თვითშეფასების პროცესის მოკლე აღწერას. წინასიტყვაობაში მოცემულია სკოლის წარმომადგენლებიდან ვინ მონაწილეობდა თვითშეფასების შედგენაში - მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მოსწავლეები და სხვა. ასევე როგორ წარიმართა ამ საქმიანობის ორგანიზება. წინასიტყვაობა ასევე მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს თუ როგორ მიმდინარეობდა თვითშეფასების პროცესი სკოლაში (ვინ რა საკითხი

შეისწავლა და რა ვადები ჰქონდა მიცემული. წინასიტყვაობა არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს.

2.სკოლის დახასიათება

საკრედიტაციო ჯგუფსა და განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს უნდა წარედგინოს სკოლის მოკლე და ფაქტობრივი დახასიათება ქვემოთ მოცემული ფორმის მიხედვით:

დაწესებულების მახასიათებლები

თარიღი: _____

1. რეგიონი: _____

2. ქალაქი _____

3. რაიონი _____

4. სოფელი _____

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება

6. მისამართი:_____

ტელეფონი: _____ ვებ-გვერდი:_____

7. სკოლის აშენების წელი _____

8. სკოლის საერთო ფართობი _____

9. რამდენსაფეხურიანია სკოლა _____

10.მასწავლებელთა საერთო რაოდენობა _____

11.მოსწავლეთა საერთო რაოდენობა _____

12. რამდენი მოსწავლე სწავლობს თითოეულ საფეხურზე:

13.რამდენ ცვლაშიმომდინარეობს სწავლება _____

14. რამდენი მოსწავლე სწავლობს თითოეულ ცვლაში:

15. მოსწავლეთა პირველი ნაკადის მიღების თარიღი _____

16. მოსწავლეთა პირველი ნაკადის გამოშვების თარიღი _____

17. რა დამატებით საგანმანათლებლო და საამზღვრდელი მომსახურებას სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს?

18. არის თუ არა სკოლაში ინკლუზიური სწავლება

კი

არა

19. არის თუ არა სკოლაში რამდენიმე ენაზე სწავლება. თუ არის, მოსწავლეთა რამდენი პროცენტი სწავლობს არაქართულენოვან კლასებში?

20. წარმოადგინეთ თანდართული ცხრილის მიხედვით ეროვნულ გამოცდებში მონაწილე მოსწავლეების და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა.

კურსდამთავრებულთა გამოშვების წელი	კურსდამთავრებულთა რაოდენობა წლების მიხედვით	ეროვნულ გამოცდებში მონაწილე კურსდამთავრებულთა რაოდენობა	მათ შორის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობა	ჩარიცხული აბიტურიენტების პროცენტული წილი ეროვნულ გამოცდებში მონაწილე აბიტურიენტებთან	რამდენმა თანაგანსაჯვანებულმა გრანტი
2005					
2006					
2007					
2008					
2009					

21. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტებში ჩართულობის ხარისხი.

ა)რომელ პროექტებში მონაწილეობდით?

ბ)ჩამოთვალეთ გამარჯვებული კონცეფციები

გ)ჩამოთვალეთ გამარჯვებული პროექტები

22. აქვს თუ არა სკოლას დამატებითი შემოსავლის წყარო? (საკუთარი მეურნეობა, სახელოსნო, სპონსორი ორგანიზაცია)?

23. მიუთითეთ დამხმარე პერსონალის საერთო რაოდენობა

24. ჩამოთვალეთ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა (თავმჯომარე, წევრები).

25. წარმოადგინეთ მოსწავლეთა თვითმმართველობის შემადგენლობა (არსებობის შემთხვევაში).

26. წარმოადგინეთ სკოლის სტრუქტურა სქემის სახით (ჩახაზეთ)

27. მოკლედ აღწერეთ ამ ეტაპზე სკოლის მიერ მიღწეული წარმატებები

28. შეავსეთ ცხრილი

მოცემული სახელმძღვანელო წარმოადგენს პირველ საცდელ ვერსიას. საპილოტე პროექტის განხორციელების შემდეგ მასში შევა შესაბამისი ცვლილებები.

პირველკლასელთა რაოდენობა წლების მიხედვით	რამდენმა მოსწავლემ აიღო საბაზო განათლების დამადასტურებელი ატესტატი წლების მიხედვით	კურსდამთავრებულთა რაოდენობა წლების მიხედვით
1993-	2001 -	2004 -
1994 -	2002 -	2005 -
1995-	2003 -	2006 -
1996 -	2004 -	2007 -
1997 -	2005 -	2008 -

დაურთეთ სკოლის ფოტოსურათები. (არაუმეტეს 5-სა)

3. თვითშეფასების კითხვარი

თვითშეფასების კითხვარი მომზადდება განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სტანდარტებისა და ინდიკატორების თვითშეფასების კითხვარი დამტკიცდება ნორმატიული დოკუმენტის სახით და გამოქვეყნდება განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე.

თვითშეფასების კითხვარის შევსებისას მთავარია, ლოგიკური და გონივრული პასუხი გაეცეს თითოეულ კითხვას (არ გამოტოვოთ არცერთი კითხვა) და ნათლად წარმოჩინდეს თვითშეფასების საშუალებით სკოლის მიერ საკუთარი თავის მთლიანობაში დანახვის უნარი.

თვითშეფასების კითხვარის შევსებისას დასაბუთებები და კომენტარები ჩამოაყალიბეთ თანმიმდევრულად და მაქსიმალურად გასაგები ენით ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ყველა არსებითი ინფორმაციის გამორჩევა და მიზნობრივი შეფასება.

*თვითშეფასების კითხვარის ნიმუში მოცემულია **დანართის 1** სახით:*

საბუთები და მტკიცებულებები

სკოლას უნდა ჰქონდეს მის მიერ თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში შეკრებილი მონაცემები, ინფორმაცია და მტკიცებულებები, რომლებიც მითითებულია ინდიკატორებში. ეს მონაცემები, ინფორმაცია და მტკიცებულებები აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს წარედგინება ვიზიტის დროს.

სანამ თვითშეფასების ანგარიშს ჩააბარებდეთ:

თავიდან ბოლომდე წაიკითხეთ და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. ყველა შეკითხვას გაეცით პასუხი?
2. თქვენი მსჯელობა მკაფიოა?
3. იძლევა თუ არა თქვენი თვითშეფასების ანგარიში გულწრფელ სურათს სკოლის შესახებ?
4. ნათლად არის დასახული თუ არა არსებული მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელი ნაბიჯები?
5. თქვენ რომ ექსპერტი იყოთ, თქვენი თვითშეფასების ანგარიში რა კითხვებს გაგიჩინდათ?

როდესაც ამ კითხვებს ამომწურავ პასუხს გაცემთ და თვითშეფასების ანგარიშში შესაბამის კორექტივებს შეიტანთ, თვითშეფასების ანგარიში მზად არის ჩასაბარებლად.

თავი V

აკრედიტაციის ორგანიზება

1. აკრედიტაციის პროცესის მომზადება აკრედიტაციის ცენტრში

- ❖ საინფორმაციო შეხვედრები სკოლის მმართველობით და კოლეგიურ ორგანოებთან;
- ❖ ექსპერტთა ჯგუფის შეთანხმება და დამტკიცება;
- ❖ აკრედიტაციის ცენტრის ვებ-პორტალის შექმნა;

2. აკრედიტაციის ცენტრის ვებ-პორტალი

აკრედიტაციის ცენტრის ვებ-პორტალზე განთავსებულია აკრედიტაციის მამიებელი სკოლის ინტერაქტიული მონაცემთა ბაზა და განკუთვნილია შემდეგი მომსახურებისთვის:

- ა) ინფორმაციის გავრცელება;
- ბ) სკოლის მიერ განაცხადის და თვითშეფასების ატვირთვა;
- გ) ექსპერტთა შემაჯამებელი დასკვნებისა და სკოლის შენიშვნების ატვირთვა;
- დ) კონსულტაციების გაწევა;

3. სკოლის მიერ განაცხადის წარდგენა

სკოლა განაცხადით მიმართავს აკრედიტაციის კოორდინატორს შესაბამის რეგიონში და ავსებს ცენტრის ვებ-პორტალზე განთავსებულ განაცხადის ინტერაქტიულ ფორმას.

განაცხადს უნდა დაერთოს:

- ა) თვითშეფასების ანგარიში როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული ფორმით;
- ბ) არსებული ლიცენზიის ასლი;
- გ) აკრედიტაციის განაცხადის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (კერძო სკოლებისთვის);
- დ) სკოლის თვითშეფასების ანგარიშის ელექტრონული ვერსია უნდა იყოს ატვირთული ცენტრის ვებ-პორტალზე;

თვითშეფასების ანგარიშის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის მიერ.

4. აკრედიტაციის კოორდინატორი

1. ცენტრი საქართველოს რეგიონებში ნიშნავს აკრედიტაციის კოორდინატორებს. ერთ რეგიონში შესაძლებელია დაინიშნოს რამდენიმე კოორდინატორი.
2. აკრედიტაციის კოორდინატორი არის ცენტრის წარმომადგენელი რეგიონში. მას აქვს საკუთარი ბეჭედი და ბლანკის ფორმა, რომლებიც მტკიცდება ცენტრის დირექტორის მიერ.
3. აკრედიტაციის კოორდინატორი ვალდებულია:
 - ა) მიიღოს და აღრიცხოს სკოლის განაცხადი და სააკრედიტაციო დოკუმენტაცია;
 - ბ) გადაამოწმოს ცენტრის ვებ-პორტალზე სკოლის მიერ შევსებული სარეგისტრაციო ფორმა;
 - გ) კონსულტაცია გაუწიოს სკოლის ადმინისტრაციას განაცხადის შევსებასა და დოკუმენტაციის წარდგენასთან დაკავშირებით;
 - დ) მიუთითოს სკოლას ხარვეზის შესახებ თუ სკოლის მიერ წარმოდგენილი განაცხადი არ შეესაბამება ამ დებულების მე-20 მუხლის მოთხოვნებს;
 - ე) კოორდინაცია გაუწიოს აკრედიტაციის ექსპერტებს სააკრედიტაციო ვიზიტისას;
 - ვ) აცნობოს ცენტრს აკრედიტაციის პროცესის დაწყებისთვის სკოლის მზაობის შესახებ;
 - ზ) მიიღოს და აღრიცხოს ექსპერტთა დასკვნის ბეჭდური და ელექტრონული ფორმა;
 - თ) გადაამოწმოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ შედგენილი ბეჭდური და ვებ-პორტალზე განთავსებული დასკვნის იდენტურობა;
4. ცენტრი აკრედიტაციის კოორდინატორთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებას, რომელშიც დეტალურად აისახება მხარეთა უფლება-მოვალეობები;

5. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი

1. ცენტრი, კონკრეტული დაწესებულების აკრედიტაციის ჩატარების მიზნით, ქმნის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს და წარუდგენს სკოლას შესათანხმებლად.

2. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შედგება თავმჯდომარისა და არანაკლებ 1 ექსპერტისაგან.
3. დარგობრივი სამინისტროს წარდგინებით შექმნილი საჯარო სკოლის აკრედიტაციისას ექსპერტთა ჯგუფში სავალდებულოა შედიოდეს ამ სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროფილური ან სპეციალური სახელოვნებო, საშემსრულებლო, სპორტული მომზადების ან განათლების პროგრამის ექსპერტი.
4. დაწესებულებას შეუძლია ექსპერტთა ჯგუფის ნებისმიერ წევრზე განაცხადოს დასაბუთებული აცილება. განცხადებას აცილების თაობაზე განიხილავს ცენტრი.
5. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სკოლის მიერ აკრედიტაციის ექსპერტის ან ექსპერტების მიმართ განცხადებული დაუსაბუთებელი აცილების შემთხვევაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის დირექტორი.
6. კერძო სამართლის იურიდიული პირი - სკოლის მიერ აკრედიტაციის ექსპერტის ან ექსპერტების მიმართ განცხადებული დაუსაბუთებელი აცილება ჩაითვლება აკრედიტაციის პროცედურაზე უარის თქმად.
7. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრობის კანდიდატების შეთანხმების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში სააკრედიტაციო ვიზიტის შესახებ.
8. ცენტრი განსაზღვრავს სააკრედიტაციო ვიზიტის ხანგრძლივობას, აკრედიტაციის მაძიებელი სკოლის რესურსებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, რაც აისახება დირექტორის ბრძანებაში.

6. სააკრედიტაციო ვიზიტი

- ❖ სააკრედიტაციო ვიზიტის ხანგრძლივობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ბრძანებით (არანაკლებ 2 დღისა);
- ❖ სააკრედიტაციო ვიზიტისას დგინდება სკოლის პირობების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან;
- ❖ სააკრედიტაციო ვიზიტის დასრულებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ თემატური დასკვნების საფუძველზე იწერება შემაჯამებელი დასკვნა;

7. ექსპერტთა შემაჯამებელი დასკვნა

- ❖ შემაჯამებელი დასკვნა დასტურდება აკრედიტაციის ჯგუფის თითოეული წევრის ხელმოწერით;
- ❖ შემაჯამებელი დასკვნა მოიცავს ექსპერტთა ჯგუფის სარეკომენდაციო წინადადებებს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
- ❖ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ დასკვნის ატვირთვა ვებ პორტალზე უნდა მოხდეს ვიზიტის დასრულებიდან 3 დღის ვადაში;
- ❖ დასკვნის 1 ეგზემპლარი გადაეცემა რეგიონულ კოორდინატორს;
- ❖ დასკვნის 1 ეგზემპლარი წარედგინება აკრედიტაციის მაძიებელ სკოლას;

8. აკრედიტაციის მაძიებელი სკოლის შენიშვნები

- ❖ შენიშვნები დასკვნასთან დაკავშირებით სკოლას შეუძლია:
 - ა) ინტერქტიული ფორმით ატვირთოს ცენტრის ვებ-პორტალზე 3 დღის ვადაში;
 - ბ) ბეჭდური ფორმით წარადგინოს ცენტრში საბჭოს სხდომამდე;
- ❖ შენიშვნები წარედგინება აკრედიტაციის საბჭოს განსახილველად დასკვნასთან ერთად;

9. აკრედიტაციის საბჭო (9 წევრი)

აკრედიტაციის საბჭოს წევრი საბჭოს სხდომამდე განიხილავს ცენტრის ვებ-პორტალზე არსებულ ინფორმაციას განსახილველი სკოლის შესახებ.

აკრედიტაციის საბჭო საბჭოს სხდომის შემდეგ ცენტრის დირექტორს აწვდის ერთერთ რეკომენდაციას:

1. აკრედიტაციის საბჭო სკოლის სააკრედიტაციო პირობების შესწავლისა და განხილვის შედეგად ცენტრის დირექტორს წარუდგენს ერთ-ერთ რეკომენდაციას:

- ა) აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;
- ბ) აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;
- გ) პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;
- დ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ;

2. სკოლას აკრედიტაცია ენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს. ამ შემთხვევაში სტანდარტის შესრულება უნდა დასტურდებოდეს ამ სტანდარტის შესაბამისი ყველა ინდიკატორის მიხედვით.

- სკოლას პირობითი აკრედიტაცია ენიჭება, თუ იგი ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებს არაუმეტეს 2 სტანდარტს. სკოლა სტანდარტს ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებს, თუ სტანდარტის შესრულება არ დასტურდება ამ სტანდარტის შესაბამისი არაუმეტეს ორი ინდიკატორის მიხედვით.

- სკოლას აკრედიტაცია არ ენიჭება, თუ არ არსებობს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საფუძველი.

- აკრედიტაციის გაუქმების შესახებ რეკომენდაციას აკრედიტაციის საბჭო იღებს იმ შემთხვევაში, თუ სკოლის აკრედიტაციის პირობების შემოწმებისას სკოლა ვეღარ აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს.

რეკომენდაციები აიტვირთება ცენტრის ვებ-პორტალზე.

10. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორი

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე იღებს ერთ-ერთი შემდეგი სახის გადაწყვეტილებას:

- აკრედიტაციის მინიჭების შესახებ
- აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ
- პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

- აკრედიტაციის გაუქმების შესახებ (აკრედიტაციის პირობის დარღვევის შემთხვევაში)

11. აკრედიტაციის სამართლებრივი შედეგები

- ❖ დაწესებულებისათვის აკრედიტაციის მინიჭება ხდება არაუმეტეს 6 წლის ვადით, თუ ის ახორციელებს ზოგადი განათლების სამივე საფეხურს, და არაუმეტეს 4 წლის ვადით, თუ იგი ახორციელებს ზოგადი განათლების 1 ან 2 საფეხურს. აკრედიტებული სკოლის მიერ გაცემული ატესტატი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ;
- ❖ პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მოქმედებს არაუმეტეს 1 წლის ვადით. გადაწყვეტილებაში აღინიშნება პირობითი აკრედიტაციის მოქმედების ვადა და პირობის შესრულების წესი, სკოლა მუშაობს აკრედიტებულის რეჟიმში;
- ❖ აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის ან აკრედიტაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულების მოსწავლეებს ეთვლებათ განათლების მიღება იმ კლასის ან იმ საფეხურის ჩათვლით, რომელზეც იმყოფებიან ამ მომენტში;

აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება საჯაროდ.


12. აკრედიტაციის პირობების შესრულების კონტროლი

- ❖ აკრედიტებული სკოლა 3 წელიწადში ერთხელ ცენტრს წარუდგენს აკრედიტაციის პირობების შესრულების შესახებ ანგარიშს.

სკოლის აკრედიტაციის პროცესის ჩატარების ვადებს ადგენს ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ახალდაფუძნებული ლიცენზირებული სკოლის აკრედიტაცია ტარდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

აკრედიტაციის ორგანიზება



აკრედიტაციის ცენტრი

კოორდინატორი

სკოლა

სკოლის მიერ, ექსპერტთა
შემაჯამებელ დასკვნასთან
დაკავშირებული შენიშვნების
ცენტრის ვებ-პორტალზე ატვირთვა
ვიზიტის დასრულებიდან 3 დღეში,
ბეჭდური სახით ცენტრისთვის მიწოდება
- აკრედიტაციის საბჭოს სხდომამდე

ექსპერტთა ჯგუფი

შემაჯამებელი დასკვნა

აკრედიტაციის ცენტრის დირექტორი

აკრედიტაციის საბჭო

აკრედიტაციის საბჭოს
სხდომა

რეკომენდაცია
აკრედიტაციის
შესახებ

ცენტრის დირექტორის
გადაწყვეტილება
აკრედიტაციის
შესახებ

ინფორმაცია მიეწოდება სკოლას
ინფორმაცია განთავსდება ცენტრის
ვებ-პორტალზე

თავი VI

სკოლის მიერ აკრედიტაციის მოსაპოვებლად გადასადგმელი ნაბიჯები

1. თვითშეფასების განხორციელება ეს არის პირველი ნაბიჯი, გადადგმული სკოლის მიერ აკრედიტაციის მოპოვების გზაზე. გაეცანით თვითშეფასების სახელმძღვანელოს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულებას, მოამზადეთ თვითშეფასების ანგარიში. აკრედიტაციის პროცესში თვითშეფასებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. კარგად მომზადებული თვითშეფასება, საფუძვლიანი თვითანალიზის გზით, უზრუნველყოფს სკოლის სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და სააღმზრდელო პროცესის სრულყოფას. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიში წარმოადგენს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ, აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, სკოლის შეფასების საფუძველს. სკოლას უნდა ჰქონდეს მის მიერ თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში შეკრებილი დოკუმენტაცია, მონაცემები, ინფორმაცია და მტკიცებულებები, რომლებიც მითითებულია სტანდარტების შესაბამის ინდიკატორებში (იხ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის დებულება), ეს მონაცემები, ინფორმაცია და მტკიცებულებები აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს წარედგინება ვიზიტის დროს.
2. შეავსეთ აკრედიტაციის ცენტრის ვებ-პორტალზე განთავსებული განაცხადის ინტერაქტიული ფორმა და ატვირთეთ თქვენი სკოლის თვითშეფასების ანგარიში ცენტრის ვებ-პორტალზე.
3. ცენტრი, კონკრეტული სკოლის აკრედიტაციის ჩატარების მიზნით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის წარდგინებით, ქმნის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს და წარუდგენს სკოლას შესათანხმებლად.

 - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შედგება თავმჯდომარისა და არანაკლებ 1 აკრედიტაციის ექსპერტისაგან.
 - დარგობრივი სამინისტროს წარდგინებით შექმნილი საჯარო სკოლის აკრედიტაციისას ექსპერტთა ჯგუფში სავალდებულოა შედიოდეს ამ სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროფილური ან სპეციალური სახელოვნებო, საშემსრულებლო, სპორტული მომზადების ან განათლების პროგრამის ექსპერტი.
 - სკოლას შეუძლია ექსპერტთა ჯგუფის ნებისმიერ წევრზე განაცხადოს დასაბუთებული აცილება. განცხადებას აცილების თაობაზე განიხილავს ცენტრი.
 - სკოლის მიერ აკრედიტაციის ექსპერტის/ექსპერტების მიმართ ორჯერ დასაბუთებული აცილების ან საჯარო სკოლის მიერ განცხადებული

დაუსაბუთებელი აცილების შემთხვევაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის დირექტორი.

- კერძო სკოლის მიერ აკრედიტაციის ექსპერტის/ექსპერტების მიმართ განცხადებული დაუსაბუთებელი აცილება ჩაითვლება აკრედიტაციის პროცედურაზე უარის თქმად.
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრობის კანდიდატების შეთანხმების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში სააკრედიტაციო ვიზიტის შესახებ.

4. *აკრედიტაციის განაცხადი წერილობითი სახით წარადგინეთ თქვენი რეგიონის რეგიონულ კოორდინატორთან. განაცხადის წერილობით ფორმას დაურთეთ:*

- ა) სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, ბეჭდური და ელექტრონული სახით;
- ბ) არსებული ლიცენზიის ასლი;
- გ) აკრედიტაციის განაცხადის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ კერძო სკოლებისთვის);

აკრედიტაციის პროცესში ორივე განაცხადს და თვითშეფასების ანგარიშს, როგორც ნაბეჭდი, ასევე ვებ-პორტალზე ატვირთული ფორმით აქვს თანაბარი ძალა და მათ შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბეჭდურ ვარიანტს. ამ შემთხვევაში სკოლა ვალდებულია გამოასწოროს არსებული შეუსაბამობა.

5. მოემზადეთ სააკრედიტაციო ვიზიტისთვის. კიდევ ერთხელ შეამოწმეთ სკოლაში არის თუ არა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში შეკრებილი მონაცემები, ინფორმაცია და მტკიცებულებები, მოამზადეთ ოთახი, სადაც ექსპერტები იმუშავებენ ვიზიტის პროცესში. ოთახში უნდა იყოს შექმნილი ექსპერტთა მუშაობისთვის აუცილებელი პირობები (სასურველია კომპიუტერი და პრინტერი). სკოლას სააკრედიტაციო ვიზიტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება სააკრედიტაციო ვიზიტამდე არანაკლებ 2 დღით ადრე. სააკრედიტაციო ვიზიტის ხანგრძლივობა და ექსპერტთა ჯგუფის ზუსტი შემადგენლობა განისაზღვრება ცენტრის მიერ აკრედიტაციის მაძიებელი სკოლის რესურსების და რეგიონის პირობების გათვალისწინებით, შეთანხმების წერილის საფუძველზე.

6. სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ვალდებულია დაადგინოს აკრედიტაციის მაძიებელი სკოლის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

სააკრედიტაციო ვიზიტი მოიცავს: ექსპერტის მიერ აკრედიტაციის მაძიებელი სკოლის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის მიზნებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შესწავლას და ანალიზს, აგრეთვე სკოლის შენობა-ნაგებობებისა და სასწავლო ინვენტარის დათვალიერებას, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, სკოლის საქმიანობაში მონაწილე და დაინტერესებული პირების გამოკითხვას.

7. სააკრედიტაციო ვიზიტის დასრულების შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ადგენს შემაჯამებელ დასკვნას.
შემაჯამებელ დასკვნა მოიცავს ექსპერტთა ჯგუფის სარეკომენდაციო წინადადებებს სკოლაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.
8. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე შემაჯამებელი დასკვნის ერთ ეგზემპლარს წარუდგენს აკრედიტაციის მაძიებელ სკოლას. დასკვნას ხელს აწერენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები და სკოლის წარმომადგენელი (სკოლის დირექტორი ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი).
აკრედიტაციის ექსპერტთა შემაჯამებელი დასკვნასთან დაკავშირებით თუ გაქვთ შენიშვნები წარადგინეთ ცენტრში:
 - ა) ინტერაქტიული ფორმით 3 დღის ვადაში;
 - ბ) ბეჭდური ფორმით - სკოლის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოზე (შემდგომში აკრედიტაციის საბჭო) განხილვამდე;აკრედიტაციის საბჭოზე განხილვისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელ დასკვნას დაერთვება სკოლის მიერ წარდგენილი ყველა შენიშვნა.
9. აკრედიტაციის საბჭოს სხდომების დღის წესრიგი გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე.
სკოლის 1 ან 2 წარმომადგენელს შეუძლია დაესწროს საბჭოს იმ სხდომას, რომელზეც განიხილება ამ სკოლის საკითხი.
10. აკრედიტაციის საბჭო აკრედიტაციის მაძიებელი სკოლის სააკრედიტაციო პირობების შესწავლის და განხილვის შედეგად დირექტორს წარუდგენს ერთ-ერთ შემდეგ რეკომენდაციას:
 - ა) აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;
 - ბ) აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;
 - გ) პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;
 - დ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ;

11. ცენტრის დირექტორი აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება ცენტრის დირექტორის ბრძანებით და ეგზავნება სკოლას, ასევე რეგისტრირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება საჯაროდ.

დანართი 1.

*ნიმუშის სახით გთავაზობთ შემუშავებული კითხვარის პროექტს.
(საბოლოოდ დამტკიცებული კითხვარი შესაძლოა იყოს განსხვავებული)*

შეფასება ციფრებით 1 2 3 4 ნიშნავს:

- 1 - არ შეესაბამება
- 2- ნაწილობრივ შეესაბამება
- 3 - შეესაბამება
- 4 - წარმატებულია

პირველი სტანდარტი **მისია**

1. ჩამოაყალიბეთ თქვენი სკოლის მისია.

(მაქსიმუმ 200 სიტყვა)

2. შეაფასეთ თქვენი სკოლის მისიის შემუშავების პროცესში სკოლის მმართველობის და თვითმმართველობის რგოლების (პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, მშობლები) ჩართულობის ხარისხი ოთხეულიანი სისტემით:

ადმინისტრაცია	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4
პედაგოგიური საბჭო	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4
სამეურვეო საბჭო	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4
მოსწავლეთა თვითმმართველობა	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4
მშობლები	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4

3. აქვს თუ არა თქვენს სკოლას მიღებული და დამტკიცებული მისია?

დიახ

არა

4. მისიის არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ:

ა) თქვენი სკოლის მიერ მისიის პირველად მიღება-დამტკიცების ოქმის ნომერი, თარიღი:

